

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის

კონვენციის დამატებითი ოქმი N 1

პარიზი, 1952 წლის 20 მარტი

ქვემოთ ხელმოწერილი მთავრობები, რომლებიც არიან ევროპის საბჭოს წევრები, შემართულნი არიან, გადადგან ნაბიჯები იმ გარკვეულ უფლებათა და თავისუფლებათა კოლექტიური განხორციელების უზრუნველსაყოფად, რომელთაც არ მოიცავს რომში 1950 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „კონვენცია“) I თავი და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. საკუთრების დაცვა

ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახდებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2. განათლების უფლება

არავის შეიძლება ეთქვას უარი განათლების უფლებაზე. ნებისმიერი ფუნქციის განხორციელებისას, რომელსაც სახელმწიფო კისრულობს განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით, ის პატივს სცემს მშობელთა უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება.

მუხლი 3. თავისუფალი არჩევნების უფლება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას.

მუხლი 4. ტერიტორიული გამოყენება

ოქმის ხელმოწერისას თუ რატიფიცირებისას, ან შემდგომში, ნებისმიერ დროს, ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია, განცხადება გაუგზავნოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში კისრულობს ის ამ ოქმის დებულებების გავრცელებას განცხადებაში მითითებული იმ ტერიტორიების მიმართ, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.

ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომელმაც გააგზავნა განცხადება წინა პუნქტის შესაბამისად, შეუძლია, დროგამოშვებით გააგზავნოს შემდეგი განცხადება რომელიმე წინა განცხადებაში მითითებულ პირობებში შესწორებების შეტანის ან ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ ამ ოქმის დებულებათა გამოყენების შეწყვეტის შესახებ.

ამ მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადება განიხილება, როგორც კონვენციის 56-ე მხულის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადება.

მუხლი 5. კონვენციასთან მიმართება

მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შორის ამ ოქმის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლების დებულებები განიხილება, როგორც კონვენციის დამატებითი მუხლები, და კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 6. ხელმოწერა და რატიფიცირება

ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრებისათვის, რომლებიც არიან კონვენციის ხელმომწერნი. მისი რატიფიცირება მოხდება კონვენციის რატიფიცირებასთან ერთად ან მის შემდეგ. ოქმი ძალაში შედის რატიფიცირების ათი სიგელის დეპონირების შემდეგ. იმ ხელმომწერი სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომში მოახდენს კონვენციის რატიფიცირებას, ოქმი ძალაში შედის რატიფიცირების სიგელის დეპონირების დღიდან.

რატიფიცირების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მიდვანთან, რომელიც ატყობინებს ყველა წევრს იმ მაღალ ხელშემკვერელ მხარეთა თაობაზე, რომელთაც მოახდინეს ოქმის რატიფიცირება.

შესრულებულია პარიზში 1952 წლის 20 მარტს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზემპლარად, რომელიც დაცულია ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს უგზავნის თითოეულ ხელმომწერ მთავრობას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის

კონვენციის ოქმი № 4

იმ უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის შესახებ, რომლებსაც არ მოიცავს კონვენცია და მისი პირველი დამატებითი ოქმი

სტრასბურგი, 1963 წლის 16 სექტემბერი

ქვემოთ ხელმომწერი მთავრობები, რომლებიც არიან ევროპის საბჭოს წევრები,

შემართულნი არიან, გადადგან ნაბიჯები იმ გარკვეულ უფლებათა და თავისუფლებათა კოლექტიური განხორციელების უზრუნველსაყოფად, რომელთაც არ მოიცავს რომში 1950 წლის 4 ნოემბრის ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „კონვენცია“) I თავი და 1952 წლის 20 მარტს პარიზში ხელმოწერილი პირველი დამატებითი ოქმის 1–ლი – მე–3 მუხლები, და

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ვალაუფალობის გამო თავისუფლების აღკვეთის აკრძალვა

არავის შეიძლება აღკვეთოს თავისუფლება მხოლოდ იმის გამო, რომ არ შესწევს უნარი, შეასრულოს სახელმეკრულებო ვალდებულება.

მუხლი 2. მიმოსვლის თავისუფლება

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს უფლება ამ ტერიტორიის ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებისა.

2. ყველა თავისუფალია, დატოვოს ნებისმიერი, მათ შორის, საკუთარი, ქვეყანა.

3. დაუშვებელია ამ უფლებათა განხორციელებაზე რაიმე შეზღუდვის დაწესება, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

4. 1–ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები გარკვეულ რაიონებში ასევე შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს, რომლებიც დაწესებულია კანონის შესაბამისად და გამართლებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო ინტერესებით.

მუხლი 3. მოქალაქეთა გამეფების აკრძალვა

1. არავინ შეიძლება გაამეფონ ინდივიდუალური თუ კოლექტიური ღონისძიებების გამოყენებით იმ სახელმწიფოს ტერიტორიიდან, რომლის მოქალაქეც ის არის.

2. არავის შეიძლება ჩამოერთვას იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის უფლება, რომლის მოქალაქეც ის არის.

მუხლი 4. უცხოელთა კოლექტიური გამევეების აკრძალვა უცხოელთა კოლექტიური გამევეება აკრძალულია.

მუხლი 5. ტერიტორიული გამოყენება

1. ოქმის ხელმოწერისას თუ რატიფიცირებისას, ან შემდგომში, ნებისმიერ დროს, ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია, განცხადება გაუგზავნოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში კისრულობს ის ამ ოქმის დებულებების გავრცელებას განცხადებაში მითითებული იმ ტერიტორიების მიმართ, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.

2. ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომელმაც წარადგინა განცხადება წინა პუნქტის შესაბამისად, შეუძლია, დროგამოშვებით გააგზავნოს შემდეგი განცხადება რომელიმე წინა განცხადებაში მითითებულ პირობებში შესწორებების შეტანის ან ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ ამ ოქმის დებულებათა გამოყენების შეწყვეტის შესახებ.

3. ამ მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადება განიხილება, როგორც კონვენციის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადება.

4. ყოველი სახელმწიფოს ტერიტორია, რომლის მიმართ ეს ოქმი ვრცელდება ამ სახელმწიფოს მიერ რატიფიცირების ან მიღების საფუძველზე, და ის ტერიტორია, რომლის მიმართაც ეს ოქმი გამოიყენება სახელმწიფოს მიერ ამ მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადების ძალით, განიხილება ცალკე ტერიტორიებად, სახელმწიფოს ტერიტორიის მე-2 და მე-3 მუხლებში მოცემული განმარტებებისათვის.

5. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც განცხადება გააკეთა ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 პუნქტების შესაბამისად, შემდგომში, ნებისმიერ დროს, განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ შეუძლია განაცხადოს, რომ ის აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მიიღოს განაცხადები ფიზიკური პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ცალკეულ პირთა ჯგუფებისაგან ამ ოქმის ყველა ან 1-ლ-მე-4 ნებისმიერ მუხლთან დაკავშირებით, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის 34-ე მუხლით.

მუხლი 6. კონვენციასთან მიმართება

მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შორის ამ ოქმის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მ-5 მუხლების დებულებები განიხილება, როგორც კონვენციის დამატებითი მუხლები, და კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 7. ხელმოწერა და რატიფიცირება

1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრებისათვის, რომლებიც არიან კონვენციის ხელმომწერნი. მისი რატიფიცირება მოხდება კონვენციის რატიფიცირებასთან ერთად ან მის შემდეგ. ოქმი ძალაში შედის რატიფიცირების ხუთი სიგელის დეპონირების შემდეგ. იმ ხელმომწერი სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომში მოახდენს კონვენციის რატიფიცირებას, ოქმის ძალაში შედის რატიფიცირების სიგელის დეპონირების დღიდან.

2. რატიფიცირების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან, რომელიც ატყობინებს ყველა წევრს იმ მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა თაობაზე, რომელთაც მოახდინეს ოქმის რატიფიცირება.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში 1963 წლის 16 სექტემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზემპლარად, რომელიც დაცულია ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს უგზავნის თითოეულ ხელმომწერ მთავრობას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის

კონვენციის ოქმი №6

სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ

სტრასბურგი, 1983 წლის 28 აპრილი

1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „კონვენცია“) ამ ოქმის ხელმძღვანელი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს წევრ რამდენიმე სახელმწიფოში განხორციელებული წინსვლა გამოხატავს სიკვდილით დასჯის გაუქმების საერთო ტენდენციას და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. სიკვდილით დასჯის გაუქმება

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. არ შეიძლება, ვინმეს შეეფარდოს სიკვდილით დასჯა ან ვინმეს მიმართ აღსრულდეს ასეთი განაჩენი.

მუხლი 2. სიკვდილით დასჯა ომიანობის დროს

სახელმწიფოს შეუძლია, თავის კანონმდებლობაში გაითვალისწინოს სიკვდილით დასჯა ომის ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს ჩადენილი ქმედებებისათვის; ამგვარი სასჯელის გამოყენება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და მისი დებულებების შესაბამისად. სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ასეთი კანონის შესაბამისი დებულებების შესახებ.

მუხლი 3. გადახვევის აკრძალვა

დაუშვებელია კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე ამ ოქმის დებულებებიდან გადახვევა.

მუხლი 4. დათქმების აკრძალვა

დაუშვებელია კონვენციის 57-ე მუხლის საფუძველზე ამ ოქმის დებულებათა მიმართ დათქმების გაკეთება.

მუხლი 5. ტერიტორიული გამოყენება

1. ოქმის ხელმოწერის, მისი რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების დროს ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გავრცელდება ეს ოქმები.

2. ყოველ სახელმწიფოს მოგვიანებით, ნებისმიერ დროს, შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის გაგზავნილი განცხადებით გაავრცელოს ამ ოქმის გამოყენება განცხადებაში განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ტერიტორიის მიმართ. ასეთი ტერიტორიის მიმართ ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამგვარი განცხადების მიღებიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკვეთებული ნებისმიერი განცხადება ამგვარ განცხადებაში განსაზღვრული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება უკან იქნეს გატანილი გენერალური მდივნისათვის გაგზავნილი შეტყობინებით. განცხადების უკან გატანა ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღების თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 6. კონვენციასთან მიმართება

მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შორის ამ ოქმის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების დებულებები განიხილება, როგორც კონვენციის დამატებითი მუხლები, და კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 7. ხელმოწერა და რატიფიცირება

წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ოქმის რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება, თუ მას იმავდროულად ან მანამდე არ მოუხდენია კონვენციის რატიფიცირება. რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 8. ძალაში შესვლა

1. ეს ოქმი ძალაში შედის მისი სავალდებულოდ აღიარებაზე ევროპის საბჭოს ხუთი წევრი სახელმწიფოს მიერ მე-7 მუხლის დებულებების შესაბამისად თანხმობის გამოხატვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

2. ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოხატავს თანხმობას ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე, ოქმი ძალაში შედის რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 9. დეპოზიტარის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

- a) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b) რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების ნებისმიერი სიგელის დეპონირების შესახებ;
- c) მე-5 და მე-8 მუხლების შესაბამისად, ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღს;
- d) ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან მიმოწერის შესახებ.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ უფლებამოსილნი არიან, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში 1983 წლის 28 აპრილს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტიკურ ტექსტებად, ერთდერთ ეგზემპლარად, რომელიც დაცულია ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს უგზავნის თითოეულ ხელმომწერ მთავრობას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის

კონვენციის ოქმი №7

სტრასბურგი, 1984 წლის 22 ნოემბერი

ქვემოთ ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები შემართულნი არიან, გადადგან შემდგომი ნაბიჯები გარკვეულ უფლებათა და თავისუფლებათა კოლექტიური განხორციელების უზრუნველსაყოფად რომში 1950 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „კონვენცია“) მეშვეობით, და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. უცხოეთსა გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიები

1. სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები უცხოელი არ შეიძლება გააძევონ, თუ არ იქნა მიღებული კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება, და ისე, რომ მას შეეძლოს:

- a) წარადგინოს თავისი გაძევების საწინააღმდეგო არგუმენტები;
- b) გადაასინჯინოს თავისი საქმე; და
- c) ამ უფლებათა განსახორციელებლად წარდგეს უფლებამოსილი ორგანოს ან ამ ორგანოს მიერ დანიშნული ერთი ან რამდენიმე პირის წინაშე.

2. უცხოელი შეიძლება გააძევონ ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (a), (b) და (c) ქვეპუნქტების შესაბამისად თავისი უფლებების განხორციელებამდე, როდესაც ასეთი გაძევება

აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის ან განპირობებულია ეროვნული უშიშროების მოსაზრებებით.

მუხლი 2. სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება

1. ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადაასინჯვინოს ზემდგომ ინსტანციის სასამართლოს. ამ უფლების განხორციელება, იმ საფუძვლების ჩათვლით, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება ის განხორციელდეს, მოწესრიგებულია კანონით.

2. ამ წესიდან გამონაკლისი დასაშვებია მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა მიმართ, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით, ან როდესაც შესაბამისი პირი პირველი ინსტანციის წესით გაასამართლა უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ, ან მსჯავრი დაედო მის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გადასინჯვის შედეგად.

მუხლი 3. კომპენსაცია მცდარი მსჯავრდებისათვის

თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისაგან ის განთავისუფლდა, რადგან ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მართლმსაჯულება არაჯეროვნად განხორციელდა, და თუკი არ დამტკიცდება, რომ მანამდე უცნობი გარემოებების დროულად აღმოჩენის ან გამოვლენის შეფერხება მთლიანად ან ნაწილობრივ ამავე პირის მიზეზით მოხდა, ამგვარი მსჯავრდების გამო შეფარდებული სასჯელისათვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით.

მუხლი 4. ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა

1. დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის ერთხელ უკვე საბოლოოდ იქნა გამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად.

2. წინა პუნქტის დებულებები ხელს არ უშლის საქმის წარმოების განახლებას მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად, თუკი არსებობს ახალი ან ახლად გამოვლენილი ფაქტების მტკიცებულება, ან თუ წინა სამართალწარმოება განხორციელდა არსებითი ხარვეზით, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე.

3. დაუშვებელია კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე ამ მუხლიდან გადახვევა.

მუხლი 5. მეუღლეთა თანასწორობა

მეუღლეები სარგებლობენ კერძოსამართლებრივი ხასიათის თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით ერთმანეთს შორის და შვილებთან ურთიერთობაში, დაქორწინების დროს, ქორწინების განმავლობაში და მისი შეწყვეტის შემთხვევაში. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ ბავშვების ინტერესებისათვის აუცილებელი ღონისძიებანი.

მუხლი 6. ტერიტორიული გამოყენება

1. ოქმის ხელმოწერისას ან რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების დროს ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია განცხადება გაუგზავნოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში კისრულობს ის ამ ოქმის დებულებების გავრცელებას განცხადებაში მითითებულ იმ ტერიტორიების მიმართ, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც არის პასუხისმგებელი.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს შემდგომში, ნებისმიერ დროს, შეუძლია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის გაგზავნილი განცხადებით განავრცოს ამ ოქმის მოქმედება ამ განცხადებაში განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ასეთი ტერიტორიის მიმართ

ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამ განცხადების მიღების თარიღიდან, ორთვიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, მასში განსაზღვრული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება უკან იქნეს გამოტანილი ან შეცვლილი გენერალური მდივნისათვის გაგზავნილი შეტყობინებით. გამოტანა ან შეცვლა ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღების შემდეგ ორთვიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

4. ამ მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადება განიხილება, როგორც კონვენციის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადება.

5. ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორია, რომლის მიმართ ეს ოქმი ვრცელდება ამ სახელმწიფოს მიერ რატიფიცირების ან მიღების საფუძველზე, და თითოეული ტერიტორია, რომლის მიმართაც ეს ოქმი გამოიყენება სახელმწიფოს მიერ ამ მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადების ძალით, განიხილება ცალკე ტერიტორიებად, სახელმწიფოს ტერიტორიის 1-ლ მუხლში მოცემული განმარტებისათვის.

6. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც განცხადება გააკეთა ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემდგომში, ნებისმიერ დროს, განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ შეუძლია განაცხადოს, რომ ის აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მიიღოს განაცხადები ფიზიკური პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ცალკეულ პირთა ჯგუფებისაგან ამ ოქმის ყველა ან 1-ლ-მე-5 ნებისმიერ მუხლებთან დაკავშირებით, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის 34-ე მუხლით.

მუხლი 7. კონვენციასთან მიმართება

მაღალ ხელშემკვერელ მხარეებს შორის ამ ოქმის 1-ლი – მე-6 მუხლების დებულებები განიხილება, როგორც კონვენციის დამატებითი მუხლები, და კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 8. ხელმოწერა და რატიფიცირება

წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ოქმის რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება, თუ მას იმავდროულად ან მანამდე არ მოუხდენია კონვენციის რატიფიცირება. რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 9. ძალაში შესვლა

1. ეს ოქმი ძალაში შედის მის სავალდებულოდ აღიარებაზე ევროპის საბჭოს შვიდი წევრი სახელმწიფოს მიერ მე-8 მუხლის დებულებების შესაბამისად თანხმობის გამოხატვის თარიღიდან ორთვიანი ვადის ამოწურვის შემდგომ მომდევნო თვის პირველ დღეს.

2. ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოხატავს თანხმობას ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე, ოქმის ძალაში შედის რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან ორთვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 10. დეპოზიტარის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

- a) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b) რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების ნებისმიერი სიგელის დეპონირების შესახებ;
- a) მე-6 და მე-9 მუხლების შესაბამისად, ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღს;

ბ) ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან მიმოწერის შესახებ.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმოწერებმა, რომლებიც სათანადოდ უფლებამოსილნი არიან, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში 1984 წლის 22 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბარი აუთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის

კონვენციის ოქმი №12

რომი, 2000 წლის 4 ნოემბერი

ქვემოთ ხელმოწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები

ითვალისწინებენ ძირითად პრინციპს, რომლის თანახმად, ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და უფლება აქვს, თანაბრად იქნეს კანონით დაცული;

შემართულნი არიან, გადადგან შემდგომი ნაბიჯები, რათა ხელი შეუწყონ ყველა პირის თანასწორობას დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვის კოლექტიური განხორციელების გზით, რომში 1950 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „კონვენცია“) მეშვეობით;

კვლავ ადასტურებენ, რომ დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი ხელს არ უშლის მონაწილე სახელმწიფოებს, გაატარონ ღონისძიებები, რათა ხელი შეუწყონ სრულ და ეფექტიან თანასწორობას, იმ პირობით, რომ ასეთი ღონისძიებებისათვის არსებობს ობიექტური და გონივრული გამართლება, და

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა

1. კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონების, დაბადების ან სხვა ნიშნისა.

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია 1-ლ პუნქტში აღნიშნულ რომელიმე საფუძველზე.

მუხლი 2. ტერიტორიული გამოყენება

1. ოქმის ხელმოწერის ან მისი რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების დროს ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა მიმართაც გამოიყენება ეს ოქმი.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს მოგვიანებით, ნებისმიერ დროს, შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის გაგზავნილი განცხადებით გაავრცელოს ამ ოქმის გამოყენება განცხადებაში განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ტერიტორიის მიმართ. ასეთი ტერიტორიის მიმართ ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამგვარი განცხადების მიღების შემდეგ სამთვინი ვადის ამოწრუვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. წინა ორი პუნქტის თანახმად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ამგვარ განცხადებაში განსაზღვრული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება გამოთხოვილი იქნეს ან შეიცვალოს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის გაგზავნილი შეტყობინებით. გამოთხოვა ან შეცვლა ამოქმედდება გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღების შემდეგ სამთვინი ვადის ამოწრუვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

4. ამ მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადება განიხილება, როგორც კონვენციის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადება.

5. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც განცხადება გააკეთა ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 პუნქტების შესაბამისად, შემდგომში, ნებისმიერ დროს, განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ შეუძლია განაცხადოს, რომ ის აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მიიღოს განაცხადები ფიზიკური პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ცალკეულ პირთა ჯგუფებისაგან ამ ოქმის ყველა ან 1-ლ ნებისმიერ მუხლთან დაკავშირებით, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის 34-ე მუხლით.

მუხლი 3. კონვენციასთან მიმართება

მაღალ ხელშემკვერელ მხარეებს შორის ამ ოქმის 1-ლი და მე-2 მუხლების დებულებები განიხილება, როგორც კონვენციის დამატებითი მუხლები, და კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 4. ხელმოწერა და რატიფიცირება

ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ოქმის რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება, თუ მას იმავდროულად ან მანამდე არ მოუხდენია კონვენციის რატიფიცირება. რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 5. ძალაში შესვლა

1. ეს ოქმი ძალაში შედის, მე-4 მუხლის დებულებების შესაბამისად, ევროპის საბჭოს ათი წევრი სახელმწიფოს მიერ მათთვის ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის შემდეგ სამთვიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

2. ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომში გამოხატავს თანხმობას ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე, ოქმი ძალაში შედის რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების შემდეგ სამთვიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 6. დეპოზიტარის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

- a) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b) ნებისმიერი რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების შესახებ;
- c) მე-2 და მე-5 მუხლების შესაბამისად, ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღს;
- d) ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ქმედების, შეტყობინების ან ცნობის შესახებ.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ უფლებამოსილნი არიან, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია რომში 2000 წლის 4 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის

კონვენციის ოქმი №13

ნებისმიერ ვითარებაში სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ

ვილნიუსი, 2002 წლის 3 მაისი

ქვემოთ ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები

დარწმუნებულნი არიან, რომ ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის უფლება არის ძირითადი ღირებულება დემოკრატიულ საზოგადოებაში, და რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება არსებითია ამ უფლების დაცვისა და ყოველი ადამიანის წარუვალი ღირსების სრული აღიარებისათვის;

მოსრუნენი არიან, რომ განამტკიცონ რომში 1950 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით (შემდგომში – „კონვენცია“) უზრუნველყოფილი სიცოცხლის უფლების დაცვა;

აღნიშნავენ, რომ კონვენციის მე-6 ოქმი, რომელიც სიკვდილით დასჯის გაუქმებას შეეხება და ხელმოწერილია სტრასბურგში 1983 წლის 28 აპრილს, არ გამორიცხავს სიკვდილით დასჯას ომის ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს ჩადენილი ქმედებებისათვის;

შემართულნი არიან, გადადგან ბოლო ნაბიჯები სიკვდილით დასჯის ყველა ვითარებაში გასაუქმებლად, და

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. სიკვდილით დასჯის გაუქმება

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. არ შეიძლება, ვინმეს შეეფარდოს სიკვდილით დასჯა ან ვინემს მიმართ ასეთი განაჩენის აღსრულება.

მუხლი 2. გადახვევის აკრძალვა

დაუშვებელია კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე ამ ოქმის დებულებებიდან გადახვევა.

მუხლი 3. დათქმების აკრძალვა

დაუშვებელია კონვენციის 57-ე მუხლის საფუძველზე ამ ოქმის დებულებათა მიმართ დათქმების გაკეთება.

მუხლი 4. ტერიტორიული გამოყენება

1. ოქმის ხელმოწერის, მისი რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების დროს ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გავრცელდება ეს ოქმები.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს მოგვიანებით, ნებისმიერ დროს, შეუძლია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის გაგზავნილი განცხადებით გაავრცელოს ამ ოქმის გამოყენება განცხადებაში განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ტერიტორიის მიმართ. ასეთი ტერიტორიების მიმართ ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამგვარი განცხადების მიღების შემდეგ სამთვლიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ამგვარ განცხადებაში განსაზღვრული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება უკან იქნეს გატანილი გენერალური მდივნისათვის გაგზავნილი შეტყობინებით. განცხადების უკან გატანა ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღების თარიღიდან 3 თვის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 5. კონვენციასთან მიმართება

მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შორის ამ ოქმის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლების დებულებები განიხილება, როგორც კონვენციის დამატებითი მუხლები, და კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 6. ხელმოწერა და რატიფიცირება

ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ოქმის რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება, თუ მას იმავდროულად ან მანამდე არ მოუხდენია კონვენციის რატიფიცირება.

რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 7. ძალაში შესვლა

1. ეს ოქმი ძალაში შედის მის სავალდებულოდ აღიარებაზე ევროპის საბჭოს ათი წევრი სახელმწიფოს მიერ მე-6 მუხლის დებულებების შესაბამისად თანხმობის გამოხატვის თარიღიდან სამი თვის შემდგომ მომდევნო თვის პირველ დღეს.

2. ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოხატავს თანხმობას ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე, ოქმის ძალაში შედის რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების, სიგელის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდგომ მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 8. დეპოზიტარის ფუნქციები.

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

- a) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b) რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების ნებისმიერი სიგელის დეპონირების შესახებ;
- c) მე-4 და მე-7 მუხლების შესაბამისად, ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღს;
- d) ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან მიმოწერის შესახებ.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ უფლებამოსილნი არიან, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია ვილნიუსში 2002 წლის 3 მაისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზემპლარად, რომელიც დაცულია ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის

კონვენციის ოქმი №14

კონვენციის საზედამხედველო სისტემაში შესწორებების შეტანის შესახებ

სტრასბურგი, 2004 წლის 13 მაისი

პრეამბულა

რომში 1950 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში – „კონვენცია“) ამ ოქმის ხელმოწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები

მხედველობაში იღებენ რომში 2000 წლის 3–4 ნოემბერს ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის სახელმწიფოების მინისტრთა კონფერენციაზე მიღებულ №1 რეზოლუციასა და დეკლარაციას;

მხედველობაში იღებენ 2001 წლის 8 ნოემბერს, 2002 წლის 7 ნოემბერსა და 2003 წლის 15 მაისს მინისტრთა კომიტეტის შესაბამისად 109–ე, 111–ე და 112–ე სესიებზე მიღებულ დეკლარაციებს;

მხედველობაში იღებენ 2004 წლის 28 აპრილს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ №251 (2004) დასკვნას;

აღნიშნავენ ძირითადად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სამუშაო დატვირთვის ზრდის გათვალისწინებით, საზედამხედველო სისტემის ეფექტიანობის ხანგრძლივი დროით შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის გარკვეული კონვენციის დებულებების შესწორების გადაუდებელ აუცილებლობას;

კერძოდ, ითვალისწინებენ იმის უზრუნველყოფის აუცილებლობას, იქნეს, რომ სასამართლომ კვლავაც შეძლოს ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვაში წამყვანი როლის შესრულება, და
თანხმდებიან შემდეგზე

მუხლი 1

კონვენციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულია.

მუხლი 2

კონვენციის 23-ე მუხლი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 23. უფლებამოსილების ვადები და თანამდებობიდან გათავისუფლება

1. მოსამართლეებს ირჩევენ 9 წლის ვადით. არ შეიძლება მათი ხელახლა არჩევა.

2. მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა იწურება, როდესაც ისინი მიაღწევენ 70 წლის ასაკს.

3. თანამდებობაზე მოსამართლეები რჩებიან მათ შეცვლამდე. თუმცა ისინი აგრძელებენ იმ საქმეთა განხილვას, რომლებიც უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ჰქონდათ წარმოებაში.

4. არც ერთი მოსამართლე არ შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან, თუ სხვა მოსამართლეები ხმების ორი მესამედის უმრავლესობით არ გადაწყვეტენ, რომ იგი აღარ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს“.

მუხლი 3

კონვენციის 24-ე მუხლის ამოღებულია.

მუხლი 4

კონვენციის 25-ე მუხლი უნდა გახდეს 24-ე მუხლი, მისი ტექსტი კი შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 24. სამდივნო და მომხსენებლები

1. სასამართლოს აქვს სამდივნო, რომლის ფუნქციები და ორგანიზაცია დადგენილია სასამართლოს რეგლამენტით.

2. მოსამართლის მიერ საქმის ერთპიროვნულად განხილვისას სასამართლოს ეხმარებიან მომხსენებლები, რომლებიც თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ სასამართლოს თავმჯდომარის ზედამხედველობით. ისინი სასამართლოს სამდივნოს თანამშრომლები არიან“.

მუხლი 5

კონვენციის 26-ე მუხლი უნდა გახდეს 25-ე მუხლი („სასამართლოს პლენარული სხდომა“), მისი ტექსტი კი შესწორდეს შემდეგნაირად:

1. d) პუნქტის ბოლოს მძიმე უნდა შეიცვალოს წერტილ-მძიმით და სიტყვა „და“ ამოღებულ იქნეს.

2. e) პუნქტის ბოლოს წერტილი უნდა შეიცვალოს წერტილ-მძიმით.

3. უნდა დაემატოს ახალი f) პუნქტი, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„f) წარადგენს ნებისმიერ მოთხოვნას 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე“.

მუხლი 6

კონვენციის 27-ე მუხლის გახდება 26-ე მუხლის, ხოლო მისი ტექსტი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 26. საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლე, კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა

1. სასამართლოში წარდგენილ საქმეებს განიხილავს მოსამართლე ერთპიროვნულად, კომიტეტები სამი მოსამართლის შემადგენლობით, პალატები შვიდი და დიდი პალატა

ჩვიდმეტი მოსამართლის შემადგენლობით. სასამართლოს პალატები ქმნიან კომიტეტებს განსაზღვრული ვადით.

2. პლენარულ სხდომაზე სასამართლოს თხოვნით მინისტრთა კომიტეტს შეუძლია, ერთსულოვანი გადაწყვეტილებითა და განსაზღვრული ვადით ხულ წევრამდე შეამციროს მოსამართლეთა რაოდენობა პალატებში.

3. თუ მოსამართლე ერთპიროვნულად იხილავს საქმეს, მას არ შეუძლია განიხილოს განაცხადი იმ მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, საიდანაც ეს მოსამართლე იქნა არჩეული.

4. მოსამართლე, რომელიც არჩეულია შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოდან, მონაწილეობს პალატისა და დიდი პალატის სხდომებში, როგორც *ex officio* წევრი. თუ ასეთი მოსამართლე არ არის, ან ვერ მონაწილეობს მოცემული საქმის განხილვაში, მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს, პირი, რომელსაც ირჩევს სასამართლოს თავმჯდომარე ამ მხარის მიერ წინასწარ წარმოდგენილი სიიდან.

5. დიდ პალატას აგრეთვე შეადგენენ: სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პალატების თავმჯდომარეები და სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად შერჩეული სხვა მოსამართლეები. როდესაც საქმე განსახილველად გადაეცემა დიდ პალატას 43-ე მუხლის საფუძველზე, დიდი პალატის სხდომაში მონაწილეობას ვერ მიიღებს გადაწყვეტილების გამომტანი პალატის ვერც ერთი მოსამართლე, გარდა პალატის თავმჯდომარისა და მოსამართლისა იმ სახელმწიფოდან, რომელიც მხარეა მოცემულ საქმეში“.

მუხლი 7.

ახალი 26-ე მუხლის შემდეგ კონვენციაში შეტანილი უნდა იქნეს ახალი 27-ე მუხლი, რომელიც ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

„მუხლი 27. საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის უფლებამოსილება

1. საქმის ერთპიროვნულად განმხილველ მოსამართლეს შეუძლია გამოაცხადოს დაუშვებლად ან ამორიცხოს სასამართლოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინდივიდუალური განაცხადი, თუ განჩინების მიღება შესაძლებელია საქმის შემდგომი განხილვის გარეშე.

2. ასეთი განჩინება საბოლოოა.

3. თუ საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლე არ გამოაცხადებს განაცხადს დაუშვებლად ან არ ამორიცხავს მას, მაშინ მან უნდა წარადგინოს ის კომიტეტში ან პალატაში შემდგომი განხილვისათვის“.

მუხლი 8

კონვენციის 28-ე მუხლი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 28. კომიტეტების უფლებამოსილება

1. 34-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილ განაცხადთან მიმართებით, კომიტეტს შეუძლია, ერთსულოვნად

a) გამოაცხადოს ის დაუშვებლად ან ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, თუ განჩინების მიღება შესაძლებელია საქმის შემდგომი განხილვის გარეშე; ან

b) გამოაცხადოს ის დაუშვებლად და, ამავე დროს, გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის არსებითი მხარის შესახებ, თუ საქმის ძირითადი საკითხი, კონვენციის ან ოქმების განმარტებასა თუ გამოყენებასთან დაკავშირებით, უკვე გადაწყვეტილია სასამართლოს მიერ მყარად დადგენილი პრეცედენტული სამართალით.

2. 1-ლი პუნქტის აფუძველზე გამოტანილი განჩინება და გადაწყვეტილება საბოლოოა.

3. თუ შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოდან არჩეული მოსამართლე არ არის კომიტეტის წევრი, კომიტეტს შეუძლია, სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე მიიწვიოს ეს მოსამართლე კომიტეტში წეთ–ერთი წევრის ადგილის დასაკავებლად, ყველა შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის, სადავოდ ხდიდა თუ არა მხარე 1-ლი b) ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურის გამოყენებას“.

მუხლი 9

კონვენციის 29-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

1. 1-ლი პუნქტი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„თუ განჩინება არ არის მიღებული 27-ე ან 28-ე მუხლის საფუძველზე, ან გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი 28-ე მუხლის საფუძველზე, პალატა იღებს გადაწყვეტილებას 34-ე მუხლის თანახმად წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადთა დასაშვებობისა და არსებითად განხილვის შესახებ. განჩინება დასაშვებობის შესახებ შეიძლება მიღებული იქნეს ცალკე“.

2. მე-2 პუნქტის ბოლოს უნდა დაემატოს ახალი წინადადება, რომელიც ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

„განჩინება დასაშვებობის შესახებ მიიღება ცალკე, თუ, გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლო სხვაგვარად არ გადაწყვეტს“.

3. მე-3 პუნქტი ამოღებულია.

მუხლი 10

კონვენციის 31-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

1. (a) პუნქტის ბოლოს ამოღებული უნდა იქნეს სიტყვა „და“.

2. (b) პუნქტი უნდა გახდეს (c) პუნქტი და უნდა ჩაემატოს ახალი b პუნქტი, რომელიც ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

„b) იღებს გადაწყვეტილებას მინისტრთა კომიტეტის მიერ 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სასამართლოსათვის გადაცემულ საკითხებთან დაკავშირებით; და“.

მუხლი 11

კონვენციის 32-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

1-ლი პუნქტის ბოლოს მძიმე და რიცხვი 46 უნდა ჩაისვას რიცხვ 34-ის შემდეგ.

მუხლი 12

კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. სასამართლო დაუშვებლად აცხადებს 34-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილ ნებისმიერ ინდივიდუალურ განაცხადს, თუ მიიჩნევს, რომ:

a) განაცხადი შეუთავსებელია კონვენციასა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად დაუსაბუთებელია, ან სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენება, ან

b) განმცხადებელს არ მიაღდა მნიშვნელოვანი ზიანი და კონვენციასა და თანდართულ ოქმებში განსაზღვრულ ადამიანის უფლებათა პატივისცემა არ მოითხოვს განაცხადის არსებითად განხილვას. ამასთანავე, არ შეიძლება ამ საფუძველზე ისეთი საქმის უკუგდება, რომელიც სათანადოდ არ განხილულა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მიერ“.

მუხლი 13.

კონვენციის 36-ე მუხლის ბოლოში უნდა დაემატოს ახალი მე-3 პუნქტი, რომელიც ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

„3. პალატისა და დიდი პალატის წინაშე წარდგენილ ყველა საქმესთან დაკავშირებით, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს შეუძლია წერილობითი კომენტარების წარდგენა და მონაწილეობის მიღება საქმის მოსმენაში“.

მუხლი 14

კონვენციის 38-ე მუხლი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 38. საქმის განხილვა

სასამართლო საქმეს განიხილავს მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად და, საჭიროების შემთხვევაში, აწარმოებს გამოძიებას, რომლის ეფექტიანად წარმართვისათვის შესაბამისი სახელმწიფოები მას უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელი საშუალებით“.

მუხლი 15

კონვენციის 39-ე მუხლი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„*მუხლი 39. მორიგება*

1. სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს დაინტერესებულ მხარეებს თავისი სამსახური საქმეზე მორიგების მისაღწევად კონვენციასა და მის ოქმებში განსაზღვრულ ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე.

2. 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარმართული პროცედურა კონფიდენციალურია.

3. თუ მიღწეულია მორიგება, სასამართლო საქმეს ამორიცხავს საქმეთა ნუსხიდან განჩინების გზით, რომელიც ფაქტებისა და მიღწეული შეთანხმების მოკლედ გადმოცემით შემოიფარგლება.

4. ეს განჩინება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს განჩინებაში აღნიშნული მორიგების პირობების აღსრულებას.“

მუხლი 16

კონვენციის 46-ე მუხლი უნდა შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„*მუხლი 46. სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება*

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.

2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას.

3. თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობას ხელი ეშლება გადაწყვეტილების განმარტების პრობლემის გამო, მას შეუძლია, საქმე წარადგინოს სასამართლოში განმარტების მისაღებად. წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კომიტეტის უფლებამოსილ წარმომადგენელთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობა.

4. თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარე უარს აცხადებს, დაემორჩილოს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეც ის არის, კომიტეტს, ამ მხარისათვის ფორმალური შეტყობინების შემდეგ და კომიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით, შეუძლია წარუდგინოს სასამართლოს საკითხი, შეასრულა თუ არა ამ მხარემ 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება.

5. თუ სასამართლო დაადგენს 1-ლი პუნქტის დარღვევას, ის წარადგენს საქმეს მინისტრთა კომიტეტში გასატარებელ ღონისძიებათა განსახილველად, ხოლო თუ სასამართლო ვერ დაადგენს 1-ლი პუნქტის დარღვევას, ის წარადგენს საქმეს მინისტრთა კომიტეტში, რომელმაც უნდა შეწყვიტოს საქმის განხილვა“.

მუხლი 17

კონვენციის 59-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

1. უნდა დაემატოს მე-2 პუნქტი, რომელიც ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

„2. ევროპის კავშირს შეუძლია შეუერთდეს ამ კონვენციას“.

2. მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები უნდა გახდეს შესაბამისად მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

მუხლი 18

1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც შეიძლება გამოხატონ თანხმობა ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე:

a) ხელმომწერთ რატიფიცირებისას, მიღებისას ან დამტკიცებისას დათქმის გარეშე; ან

b) ხელმომწერთ რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების პირობით, რომელსაც მოჰყვება რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება.

2. რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეკონირება ხსება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 19

ეს ოქმი ძალაში შედის კონვენციის ყველა მონაწილის მიერ მე-18 მუხლის დებულებების შესაბამისად მის სავალდებულოდ აღიარებზე თანხობის გამოხატვის თარიღიდან სამთვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 20

1. ამ ოქმის ძალაში შესვლის დღიდან მისი დებულებები გამოიყენება ყველა განაცხადის მიმართ, რომელთა განხილვა მიმდინარეობს სასამართლოს მიერ, ისევე როგორც სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების მიმართ, რომელთა აღსრულებას ზედამხედველობს მინისტრთა კომიტეტი.

2. ამ ოქმის მე-12 მუხლით კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის (b) ქვეპუნქტის ჩამატებული დასაშვებობის ახალი კრიტერიუმი არ გამოიყენება იმ განაცხადების მიმართ, რომლებიც დაშვებულად გამოცხადდა ამ ოქმის ძალაში შესვლამდე. ამ ოქმის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში დასაშვებობის ახალი კრიტერიუმები შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ სასამართლოს პალატებმა და დიდმა პალატამ.

მუხლი 21

იმ მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა, რომლებიც ამ ოქმის ძალაში შესვლის დღისათვის მსახურობენ პირველი ვადით, *ipso jure* უნდა გაგრძელდეს, რათა შეადგინოს მთლიანი ცხრაწლიანი ვადა. სხვა მოსამართლეები დაასრულებენ თავიანთ უფლებამოსილების ვადას, რომელიც *ipso jure* უნდა გაგრძელდეს 2 წლით.

მუხლი 22

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

- a) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b) რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების ნებისმიერი სიგელის დეკონირების შესახებ;
- c) მე-19 მუხლის შესაბამისად, ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღს; და
- d) ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან მიმოწერის შესახებ.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ უფლებამოსილნი არიან, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში **2004 წლის 13 მაისს**, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ეგზემპლარად, რომელიც დაცულია ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი № 16

პრეამბულა

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და 1950 წლის 4 ნოემბერს ქ. რომში ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, ქვემოთ ხელიმომწერნი,

ითვალისწინებენ რა კონვენციის დებულებებს, და კერძოდ, მე-19 მუხლს, რომელმაც დააფუძნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში „სასამართლო“);

მიიჩნევენ, რომ საკონსულტაციო დასკვნების მეშვეობით სასამართლოს კომპეტენციის გაფართოება გააძლიერებს სასამართლოსა და ეროვნული ხელისუფლების ორგანოთა შორის ურთიერთობას და ამგვარად, განამტკიცებს კონვენციის იმპლემენტაციას სუბსიდიარულობის პრინციპის შესაბამისად;

ითვალისწინებენ რა 2013 წლის 28 ივნისს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ მოსაზრება (Opinion) No. 285 (2013) -ს, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1. მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოს უმაღლეს სასამართლოებსა და ტრიბუნალებს, როგორც განსაზღვრულია მე-10 მუხლის შესაბამისად, შეუძლიათ მოსთხოვონ სასამართლოს კონვენციით ან დამატებითი ოქმებით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებასა ან გამოყენებასთან დაკავშირებული პრინციპების შესახებ საკონსულტაციო დასკვნის მიღება.
2. მომთხოვნ სასამართლოს ან ტრიბუნალს შეუძლია მოითხოვოს საკონსულტაციო დასკვნა მხოლოდ მის მიერ განხილვის პროცესში არსებული საქმის კონტექსტში.
3. მომთხოვნმა სასამართლომ ან ტრიბუნალმა უნდა დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა და წარადგინოს განხილვის პროცესში არსებული საქმის შესაბამისი სამართლებრივი და ფაქტობრივი მონაცემები.

მუხლი 2

1. ხუთი მოსამართლისგან შემდგარი დიდი პალატის კოლეგია 1-ლი მუხლის გათვალისწინებით გადაწყვეტს, მიიღებს თუ არა საკონსულტაციო დასკვნის შესახებ მოთხოვნას. კოლეგიამ მოთხოვნის უარყოფის თითოეულ შემთხვევასთან დაკავშირებით უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მიზეზები.
2. თუ კოლეგია მიიღებს მოთხოვნას, დიდი პალატა გამოიტანს საკონსულტაციო დასკვნას.
3. კოლეგია და დიდი პალატა, რომლებიც მითითებულია ზემოაღნიშნულ პარაგრაფებში, უნდა შეიცავდეს *ex officio* მოსამართლეს, რომელიც არჩეულია იმ მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოდან, რომელსაც განეკუთვნება მომთხოვნი სასამართლო ან ტრიბუნალი. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ასეთი მოსამართლე ან თუ ასეთ მოსამართლეს არ შეუძლია მონაწილეობა, ამ სახელმწიფოს მიერ წინასწარ წარდგენილი სიიდან სასამართლოს თავმჯდომარე ირჩევს პირს, რომელსაც საკონსულტაციო დასკვნის მიღებისას, მიენიჭება მოსამართლის უფლებამოსილება.

მუხლი 3

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს და მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომელსაც განეკუთვნება მომთხოვნი სასამართლო ან ტრიბუნალი, უფლება აქვთ წარადგინონ წერილობითი კომენტარები და მიიღონ მონაწილეობა ნებისმიერ ზეპირ განხილვაში. სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია, მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირების ინტერესების გათვალისწინებით, მოიწვიოს ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე ან პირი წერილობითი კომენტარების წარსადგენად ან ზეპირ განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 4

1. საკონსულტაციო დასკვნები უნდა იყოს დასაბუთებული.
2. თუ საკონსულტაციო დასკვნა, მთლიანად ან ნაწილობრივ, არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს განსხვავებული აზრი.
3. საკონსულტაციო დასკვნები გადაეცემა მომთხოვნ სასამართლოს ან ტრიბუნალს და იმ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომელსაც განეკუთვნება ეს სასამართლო ან ტრიბუნალი.
4. საკონსულტაციო დასკვნები უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 5

საკონსულტაციო დასკვნები შესასრულებლად სავალდებულო არ არის.

მუხლი 6

რამდენადაც მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს შორის ამ ოქმის 1-ლი მუხლიდან მე-5 მუხლის ჩათვლით არსებული დებულებები მიჩნეული უნდა იქნეს კონვენციის დამატებით მუხლებად, შესაბამისად, კონვენციის ყველა დებულება უნდა გამოიყენებოდეს.

მუხლი 7

1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად კონვენციის მაღალი ხელშემკვრელი მხარეებისათვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს მისი სავალდებულოდ აღიარების შესახებ:
 - a. დათქმის გარეშე ხელმოწერით რატიფიკაციით, მიღებით ან დამტკიცებით; ან
 - b. ხელმოწერით, რომელსაც სჭირდება რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება, რომელსაც შემდგომ მოჰყვება რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება.
2. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 8

1. ეს ოქმი ძალაში შედის კონვენციის ათი ხელშემკვრელი მხარის მიერ ოქმის სავალდებულოდ აღიარების შესახებ გამოხატული თანხმობიდან 3 თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან მე-7 მუხლის დებულებების შესაბამისად.
2. კონვენციის ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარესთან მიმართებით, რომელიც შემდგომში გამოხატავს ოქმის სავალდებულოდ აღიარების შესახებ სურვილს, ოქმი ძალაში შედის მისი სავალდებულოდ აღიარების შესახებ თანხმობის გამოხატვიდან 3 თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან მე-7 მუხლის დებულებების მიხედვით.

მუხლი 9

წინამდებარე ოქმის დებულებების მიმართ არ შეიძლება გაკეთდეს დათქმა კონვენციის 57-ე მუხლის მიხედვით.

მუხლი 10

კონვენციის თითოეული ხელშემკვრელი მხარე, ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირებისას, ევროპის საბჭოს გენერალური

მდივნის მისამართით გაკეთებული დეკლარაციის მეშვეობით, მიუთითებს იმ სასამართლოების ან ტრიბუნალების შესახებ, რომლებსაც ის განსაზღვრავს წინამდებარე ოქმის 1-ლი მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნებისათვის. ეს დეკლარაცია იმავე წესით შეიძლება შეიცვალოს მოგვიანებით ნებისმიერ დროს.

მუხლი 11

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და კონვენციის სხვა მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს:

- a. ყველა ხელმოწერის შესახებ;
- b. ყველა რატიფიკაციის, მიღების ან დატვიცების სიგელის დეპონირების შესახებ;
- c. მე-8 მუხლის შესაბამისად წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის ყველა თარიღის შესახებ;
- d. მე-10 მუხლის შესაბამისად გაკეთებული ყველა დეკლარაციის შესახებ; და
- e. წინამდებარე ოქმთან დაკავშირებით ნებისმიერი აქტის, განცხადების ან შეტყობინების შესახებ.

ამის დასტურად, სათანადოდ უფლებამოსილმა ქვემოთ ხელისმომწერებმა, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში, 2013 წლის 2 ოქტომბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია, ერთ ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს და კონვენციის სხვა მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს.